

572 /
1973/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅԵՆՈՒՄՈՒՅՑ



ԵՆՈՒՄՈՅՑ

1973 ՅՆՈՒՄՈՅՑ N5



პარადი

მარი აბრამიშვილი

ზეიმა დიდზე დიდი,
შე იცინის ცაზე,
ქუჩები და მოედნები
ხალხით არის სავსე.

ტრიბუნისკენ ეპურება
უფლა შწობრი ბიჯით,
მაშის მხარზე დასკუჭულა
გაბადრული ბიჭი.

ნახტი თიხურაზ ჩირინაშვილია
აფრიღებს წითელ ალამს
და გაჭყირის ვაჯა:
— გაუმარჯოს ჰირველ შინს,
ვაძა, ვაძა, ვაძა!

შვიდი ვარსკვლავის ოქტომბრული 35 ქოთნის ყვავილი

ნათელა ჯაიღოძე

ნახატები რაჟაჟ სხუაჩიძისა



ქეთინო ლელას მეგობარია. ლელა კი ქეთინოს ვარსკვლავის ხელმძღვანელია. ლელას ვარსკვლავს ყოველთვის აქებენ. ისეთი მეყვავილე მყავთ, სკოლაში მოსვლას ვერაფერს მიასწრებსო.

ბევრჯერ უთქვამს ნანა მასწავლებელს:

— ქეთინო, შორიგე ნუ გავვიზარმაცე, ყოველ დღით ასე აღრიხანდ ნუ მოდიხარო...

12.141 მარჯვე გოგონას ვერაფერს ასწრებს ყვავილების მოვლას. საკლასო ოთახის ფანჯრის რაფებზე კი 6 ქოთანი ჩამწყრივებულია: კაკტუსები, ქორიკანა, ნაწნავა და ბაღბა.

ერთ დღეს ქეთინომ ყვავილები ონკანთან გაიტანა. წყალი დაუსხა, ქოთნები გაასუფთავა და ის იყო, წამით საკლასო ოთახში შებრუნდა, ყვავილები აღარ დაუხვდა.

შეშფოთდნენ მეორეკლასელები. მოედვნენ კიბეებს, საკლასო ოთახებს...

— სად გაქრა ჩვენი ყვავილები?

ბოლოს ნინო შალამბერიძემ მიაგნო, — ყვავილები ვიღაცას დერეფნის ფანჯრის რაფებზე დაედგა. ნინომ ყველა საკლასო ოთახში შეიტანა.

— ვიპოვე ჩვენი ყვავილები, ნუ დარდობ, ქეთინო, — დაამშვიდა მეგობარი და ყვავილები კვლავ ფანჯრის რაფაზე ჩამწყრივა.

35 ოქტომბრულმა მალე 6 ქოთნის ყვავილს 35 მიუმატა. ყვავილებმა მარტო საკლასო ოთახი კი არა, სკოლის დერეფნის ფანჯრებიც დაამშვენეს.



ქ. შარტავის საბ. საქ. სსრ
სახ. ბავშვთა ორგანიზაცია
ბმსლ-ნი. 1956

თოჯინაბაბაც იზიიბას

თინიკომ 15 თოჯინა მოიტანა სკოლაში.

— ესენი ჩემი მეგობრები არიან,—გაცუნო გოგონამ ოქტომბრელებს 15 სხვადასხვა ეროვნების ტანსაცმელში ჩაცმული თოჯინა. თანაც მეგობრებს ახარა, ბებიამ უკრაინიდან გამომიგზავნაო.

მეორეკლასელებს თოჯინები მოეწონათ.

საცხრამეტმაისო ზეიშზე თინიკოს თოჯინებიც მოვიპატრონეთ,—უთხრა გოგონებს ნანა მასწავლებელმა.

დახმარებით შეიკრა.

თინიკომ უკრაინაში მიწერა ბებოს და მისი გამოგზავნილი უკრაინული კაბით გაიხარა. ქეთინო თოფურიაშვიმ აზერბაიჯანული კაბის თარგი იშოვა.

მაია სკამკოჩიშვილმა ქართული კაბით და ჩიხტიკობით დაიმშვენა თავი.

ნანა მასწავლებელი მარინეს, ნანას, ლელას, ირმას, იზოლდასა და მანანას სომხური, თურქმენული, ბელორუსული, უზბეკური,



— როგორ? — გაიოცეს თინიკოს მეგობრებმა.—თოჯინებმა რაღა უნდა გააკეთონ? ჩვენ ხომ პიონერის საზეიმო დაპირებას ვიტყვით, ყელსახვევს გავვიკეთებენ...

— ზეიმის დღეს ასეთივე კაბებით მოირთვებით, როგორც ამ თოჯინებს აცვიათო,—უთხრა მათ ნანა მასწავლებელმა.

დატრიალდნენ მეორეკლასელები. დოღო ჟღენტმა რუსული ტანსაცმელი დედიკოს

ყირგიზული, ტაჯიკური, ყაზახური, მოლდავური, ლატვიური, ლიტვიური და ესტონური კაბების შეკერვაში დაეხმარა.

ზეიმის დღეს გოგონები ახალ კაბებში მოირთვნენ. თვითვეს ხელში თინიკოს ნაჩუქარი თოჯინა ეჭირა.

ნანა მასწავლებელმა ზეიმის მონაწილე 15-ვე გოგონას თავიანთ თოჯინებთან ერთად გადაუღო იმ სამახსოვრო დღეს სურათი.

* * *

ეს ყველაფერი თბილისის მე-2 გაზანგრი-
ძლიერებული დღის საშუალო სკოლის III კლასის
ოქტომბრელთა ჯგუფის მატინეშია ჩა-
წერილი. მის თავფურცელს „ცისარტყელა“
აწერია. ალბომი ოქტომბრელთა ჯგუფის
შვიდივე ვარსკვლავის საინტერესო ამბებზე
ჰყვება; ოქტომბრელებმა ალბომი 19 მაისს
პიონერებს გადასცეს.

პატარებმა ამ დღეს სათითაოდ წარმოთ-

ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა
ორგანიზაციის რიგებში, ჩემი ამხანაგების წი-
ნაშე ვიდრევი საზემო დაპირებას: მხურვა-
ლედ მეყვარება ჩემი სამშობლო, ვიცხოვ-
რებ, ვისწავლი და ვიბრძოლებ ისე, როგორც
გვიანდრძა დიდმა ლენინმა, როგორც გვა-
სწავლის კომუნისტური პარტია, მუდამ შევას-
რულებ საბჭოთა კავშირის პიონერის კანო-
ნებს.



ქვეს პიონერის საზეიმო დაპირება.

- მე სოსო გენებაშვილი!
- მე, ლელა სიღამონიძე!
- მე, ლელა გრძელიშვილი!
- მე, გია დავითაშვილი!
- მე, თინა რუხაძე!
- მე, ირმა ლომიძე!
- მე, ირაკლი გაბელაია...
- შევდივარ რა ვლადიმერ ილიას ძე

... შემდეგ კი, ოქტომბრელებმა ლურჯ-
ყდიანი ალბომი „ცისარტყელა“ რაზმეულის
საბჭოს თავმჯდომარეს გადასცეს.

ალბომში ბევრ საინტერესო ამბავს ჰყვე-
ბიან ოქტომბრელები „ვარსკვლავების“ ცხოვ-
რებაზე. იქ წერია ნანა სანიტარზე, მეყვავი-
ლე ქეთინოზე, გია ბიბლიოთეკარზე და ყვე-
ლაზე—7 ვარსკვლავის 35 ყოჩად ოქტომ-
ბრელებზე.

ტირატოსა

მარი აბრამიშვილი

ერთი თავუბი ტრანზსობდა: შიძისგან გაცნა,
კატა ხეში მძაკაცნა. მეგობარი თავუნები
უცებ „მძაკაცს“ თვლი მოჭუნა, გულისნად გაცნის.

ნახატი ბასო ხილაგულინა



სიხარულით დავტკრივლდი

დედამ კაბა შემიკურსა
წითელი და ფრიალა,
უკსნაცმელიც მომიტანეს
კრიალ, კრიალ, კრიალა,
სისარულით დავტკრივლდი,
დავუკუვანე ბსრივლას.



ხიდი

გიორგი პაპიაშვილი

ნახატი მალხაზ ქუხუნიძისა

სამამულო ომის დროს, ყირიმში ჩვენი მეომრების შეუპოვარი და მეღვარი შეტევით—ფაშისტები კულამოძუებული გარბოდნენ, თან მიერეკებოდნენ ტყვეებს, ანგრევდნენ და სწავდნენ ყველაფერს — ფაბრიკა-ქარხნებს, საცხოვრებელ სახლებს, წყალსადენებს, ბოგიერებს, ხიდებს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს და შურისმაძიებლებს არაფერი დარჩენოდათ.

— ზუსტად ერთი საათის შემდეგ ააფეთქებ რკინიგზის ხიდს და შეგვეერთლები! — უბრძანა გერმანელმა ოფიცერმა მესანგრე ჯარისკაცს და საათს დახედა.

— თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება! — იყო პასუხი.

ოფიცერი წავიდა.

ჯარისკაცი დაფაცურდა. ხიდის ჯებირთან ამოთხარა ორმო, შიგ ჩააწყო ამონალი, გაუქცა ფისტონი, მოაბა გრძელი, ორასმეტრიანი სიგრძის ზონარი. დაბრუნდა უკან, მაღლობს მოეფარა, აანთო ასანთი, და მოუკიდა ზონარს...

სვასტიკიანი ჯარისკაცის მოქმედებას თვალყურს ადევნებდნენ ყმაწვილები ფეღია და ვასია, რომლებიც ხმელი ტოტების შესაგროვებლად იყვნენ შესული ტყეში...

— ფეღია, ხედავ, ზონარს მოუკიდა ცეცხლი!

— ვხედავ!

— ხიდს აფეთქებს!

— რატომ?

— გარბიან და იმიტომ!

— გადავარჩინოთ ხიდი!

— წავედი, — მოემზადა ფეღია, ქული შეისწორა, — რაც იქნება, იქნება!

— იცი შენ რა უნდა გააკეთო?

— ვიცი, ერთხელ ვუყურე პარტიზანებს.

— მე რა ვქნა?

— თვალღი არ მოაშორო, აქ მომიცადე.

ფეღიამ ხიდისაკენ მოუსვა.

ზონარი იწვის, უახლოვდება ამონალს, ორსამი წუთიც და ხიდი აფეთქდება... მამაცი, აზრიანი ფეღია მიუახლოვდა ჯებირს, ფისტონი ამოიკალა. ამონალს ზონარი მოაძრო, ამონალეები ამოყარა ორმოდან და მთელი სისწრაფით გაეშურა ტყისაკენ...



— შენი ჭირიმი, ფეღია! — მოეხვია ვასია მეგობარს და გადაკოცნა.

ამ დროს ვაშას ძახილით ჩვენი ფეხოსანი მეძროლეებიც შემოიჭრნენ ხიდზე...



ყველაზე კვირუასი ნაყოფი

(ბულგარული ზღაპარი)

ნახატი პლ. ამბოქაძისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ამ კაცს სამი ვაჟი ჰყავდა. ერთ დღეს უხმო სამივეს და ასე მიმართა:

— შვილებო, თქვენთვის თითო-თითო ქისა მიბოძებია! წადით და ვინც ყველაზე ძვირფას ნაყოფს მომიტანს, ჩემი ქონების ნახევარიც იმას ჰქონდესო.

გაუდგნენ ვაჟიშვილები გზას. სამი წლის შემდეგ დაბრუნდნენ.

— აბა, რას იტყვი?—ჰკითხა მამამ უფროს ვაჟს,—რა მოიტანე?

— უურძენი მოგიტანე, მთელ დედამიწაზე ამაზე ტკბილი არა არის რა,—მიუგო უფროსმა ვაჟმა.

— შენ რაღა მოიტანე?—მიუბრუნდა მამა შუათანას.

— ქოქოსის კაკალი, ფორთოხალი, ლეღვი და ბანანი. აბა, მამაჩემო, ყველაფერი აქ არის!—თქვა შუათანამ.

— შენ ხელცარიელი რად მოსულხარ?—ასლა უმცროსს მიუბრუნდა მამა.

— ეჰ, მამაჩემო, ის ნაყოფი, რაც შევიძინე თვალთ არა ჩანს!—ქვეყანა შემოვიარე და ყველა სიბრძნე შევისწავლე.

ეს რომ მამამ გაიგონა, ძალიან გაიხარა:

— ყველაზე ძვირფასი ნაყოფი შენ შეგიძინია, შვილო! ჩემი ჯილდოც შენ გეკუთვნის, რადგან ცოდნაზე უკეთესი ამ ქვეყნად არაფერია. მას ვერც ვერავინ ძალად წაგართმევს და ვერც ჩუმად მოგპარავს. უფცი კაცი კი სახედარზე უარესია.

თარგმნა ოტარ ხუციშვილმა



დი და შენს გზას ეწეო.

— იხმო ახლა ურწმუნის შვილი მეფემ და იმასაც ეგრე ეკითხება:

— აბა, მითხარი, შევილო ჩემო, ადამიანი რისთვის გაჩენილა ამ ქვეყანაზეო?

და უპასუხა გვარამმა:

— ადამიანი იმად გაჩენილა, რომ მეორე ადამიანს ბოძად შეუდღეს და ცხოვრება შეუმსუბუქოსო.

— აბა, მაშ ახლა ის მითხარი, მეფობა ნეტარება და განცხრომა თუ კმუნვა და ქირთათმენაო?

კვლავ უპასუხა გვარამმა:

— კარგი მეფე სულ ფხოზლად უნდა იყოს, რომ თავის სამწყსოს მშვიდად ეძინოს: კარგმა მეფემ თავისი ახლობელიც უნდა მოიწყვიტოს გულიდან, თუ ამას სამართალი მოითხოვს და, რაღა თქმა უნდა, მეფობა კმუნვა და ქირთათმენაო.

გახარა მეფემ ურწმუნის შვილის პასუხით და უთხრა:

— შენა ყოფილხარ გვირგვინის ღირსი და დღეიდან გადმომილოციაო.

მეგრამ გვარამმა უარი შეჰქადრა მამას:

— ჩემთვის აღრეა მეფის გვირგვინი, თქვენ მართეთ ისევე ქვეყანა, მე კი წავალ ქაჯეთის ქვეყანაში და მოგიტარე უებარ წამალს, თვალში სინათლეს რომ დაგიბრუნებსო.

ემულარენ მეფე და ვეზირები გვარამს, ნუ წახვალ იმ წყვეულ ქვეყანაში, იქიდან დაბრუნება ძნელიაო, მეგრამ თავისი სიტყვის პატრონი იყო მეფისწული, ვერ გადააფიქრებინეს და გაუდგა გზას.

გავიდა ნახევარი წელი და მეფისწული არ გამოჩნდა, გავიდა მთელი წელი და კიდევ არ გამოჩნდა. სამეფო კიდე-კიდემდე გლოვამ მოიცვა, მეფემ ვედარ გაუძლო დარდს და თქვენს ქირი წაიღო.

გამეფდა მეფის უფროსი ძე ჰარალე. მეფედ კურთხევის აღსანიშნავად ჰარალემ დიდი ნადიმი გადაიხადა, ერთი თვის მანძილზე ქეიფობდნენ ნაზირ-ვეზირნი და სულ ჰარიჰარალეს გაიძახოდნენ.

გავიდა ხანი. ნელ-ნელა დაითხოვა დარბაზიდან ჰარალემ ძველი ვეზირები და შემოიკრიბა ახლები.

პირველ ხანებში რა გაუჭირდებოდა, დღაგებული სახელმწიფო იყო, სამართალი, სინდისი და პატიოსნება კიდევ მოხდებოდა ქვეყანას, მაგრამ მერე და მერე, რაკი დაბატეს ჩვენი მიწე-თვისო განცხრომაში და სამეფოს ბედი მანც და მანც არ აწუხებდეს, თვითონაც აიშვეს თავი.

მეფეს ვეზირებმა მიბაძეს, ვეზირებს—გამგეთუხუცესებმა, იმით—მეჯამეთუხუცესებმა, რომელთა ხელთ იყო ნიგოზი, ზეთი, თევზი და სხვა მრავალი; მეჯამეთუხუცესებს მიბაძეს მოლარეთუხუცესებმა, რომელთა ხელთ იყო სალარი, ხოლო ამით—მანდატურთუხუცესებმა, ხუროთმოძღვრებმა და სოფდავრებმა.

ყოველ დილით წვივოდა მეფე ჰარალე ტაძარში, ილოცებდა, მერე ცოტა ხანს დაჯდებოდა სამეფო ტახტზე და შემოიკრება ვეზირებს.

— რა ამბავია ჩემს სამეფოში, უმაღლური ხომ არავინ არისო?—იკითხავდა მეფე ჰარალე და ვეზირებიც მოახსენებდნენ:

— დიდებულად მიდის საქმე, მეფეო, ხალხი შენს სახელს ლოცულობს ყოველ ცისმარე.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგიაო,—იტყოდა ჰარალე და იმავე დღეს თავისი უახლოესი პირებით რომელიმე დეჰანს მიაშურებდა. სვამდნენ, ქეიფობდნენ და გასძახოდნენ:

აგანთო შუშის ფარანი, ჰარი ჰარალე!

გავტეხოთ ღვინის მარანი, ჰარი ჰარალე!

დროც გავატაროთ ღვინითა, ჰარი ჰარალე!

კეთილი კაცი იყო მეფე ჰარალე და არავის ხეილა.

— ცუდი ამბავი რამ არ მაუწყოთ,—იტყოდა დარბაზობისას მეფე,—კმარა სიმკაცრე, რაც ცხონებულ მამაჩემს სჩვეოდა. ვიზიარულოთ და ვილხინოთ, ეს ქვეყანა ყველას ეყოფიო.

ასე გადიოდა დრო. მეფე ჰარალე მართლა კეთილი კაცი იყო, მეგრამ მეფედ არ გახლდათ დაბადებული. ამით ისარგებლეს ნაზირ-ვეზირებმა და სამეფოში მოამრავლეს თალღითი, ოინბაზი, მლიქვნელი და მექრთამე მოხელეები.

ოდესღაც დღაგებულ სამეფო არია და აიწეწა, ყველა მოხელემ მიჰყო ხელი ქურდობასა და ქეიფს. ძველებურად აღარ შენდებოდა ღამეში, გამძლე ტაძრები და მონასტრები. ხუროთმოძღვრები მასალას ანიაგებდნენ, მეღვინეთუხუცესნი—ღვინოს; მეჯამეთუხუცესნი—ნიგოზს.

ქ. ბარბაქაძის ს. ს. წიგნთა
ნაწილი 1-ე
მ. 2-ე

ზეთსა და თევზს, მოლარეთუხუცენი—ფულს.
ქვეყანაში ცოტანილა დარჩენ პატროსნები,
იმათლა აშფოთებდათ ქვეყნის ზედი, მაგრამ ცო-
ტანი ბევრთან, აბა, რას გახდებოდნენ!

და აი, მოხდა მოულოდნელი ამბავი: ათი წლის
თავზე ქაჯეთის ქვეყნიდან დაბრუნდა მეფისწუ-
ლი გვარამი. თურმე ქაჯებს ტყვედ ჰყოლოდათ
და ბოლოს, როგორც იქნა, დაეხსნა თავი.

გვარამის გამოჩენამ მთელი სამეფო შეაჩოჩ-
ქოლა. ხალხი იმის გამეფებას მოითხოვდა.

კეთილი კაცი იყო ჰარალე და რაკი დაატყო,
ხალხი ჩემი ძმის მხარეს არისო და თანაც ტახ-
ტის ნამდვილი მემკვიდრე ის იყო, დაუთმო ძმას
გვირგვინი.

დალონდა გვარამი, მამის სიკვდილის ამბავი
რომ გაიგო, ძალიან დალონდა და უფრო მეტად
იმან დაალონა, ქვეყანა რომ ასეთ უოფაში დახ-
ვდა. მიეცა კმუნვას, ეს გადაგვარებული ქვეყა-
ნა ახლა როგორ უნდა გამოვასწოროო. მაგრამ
რას იზამდა, როგორმე უნდა ეპატრონებინა. იმ
დღიდანვე შემოიკრიბა ქვეყნისა და ხალხის პა-
ტიოხანი ერთგული პირნი, მოუსვა ხელი ვეზი-

რებს და დილეგში ჩაამწყვდია. იმათ თავისი ძმა
მიაყოლა, ერთად სწირავდით და მანდაც ერთად
იყავითო.





მერე მოიწვია დარბაზი და გამართა ბუბა, დამნაშავენი რით დავსაჯოთო. ბევრი იფიქრეს, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტეს. ბოლოს ერთმა ბრძენმა უთხრა მეფე გვარამს:

— სამეფოში დამნაშავე იმდენია, ყველა რომ სიკვდილით დავსაჯოთ, ხალხი შეთხელდება და ქვეყანა დასუსტდებაო; ციხეში რომ ჩაუკაროთ, ადგილი არ გვეყოფაო. ამიტომ ერთ რჩევას მი-
ვაწვდი დარბაზს, თუ უკუაში დაუჯდებაო.

— ბრძანეო, — უთხრა დარბაზმა.

— მაგ ხალხს ტვინი სხვაგვარად აქვს მომარ-
თული, სათითაოდ უნდა აგზადოთ თავის ქალა, იქ ერთი ნაწილი აქვთ ტვინისა, იმას შევუბრუნ-
ნებთ და სახარგებლო ხალხად იქცევიანო.

სამეფო დარბაზმა მოიწონა ბრძენის რჩევა და შეუდგნენ საქმეს.

ვეზირებიდან დაიწყეს. მაგრამ ჰოი, საოცრე-

ბავ!.. ახადეს ერთ ვეზირს თავის ქალა, მეორეს, მესამეს და რას ხედავენ; ტვინის მაგივრად ხუ-
თი პატარა გულად დევს შიგ. ერთს აწერია ტუთი-
ლები, მეორეს თაღლითობა, მესამეს — მომხვე-
ქელობა, მეოთხეს — მლიქვნელობა, ხოლო მე-
ხუთეს — მთელი ქვეყანა რომ მღეროდა, ის
ლექსი:

განთოთ შუშის ფარანი, ჰარი ჰარალე!

გავტებოთ ღვინის მარანი, ჰარი ჰარალე!

დროც გავატაროთ ღვინითა, ჰარი ჰარალე!

გაოცდა ბრძენი კაცი, გაოცდა მეფეც და ვე-
ზირებიც. აი, ათი წლის მანძილზე ვის უმართავს
სახელმწიფოო, კიდევ კარგი, სულზე მოგვისწ-
რო მეფე გვარამმა, თორემ მთლად გაჯავარდე-
ბოდა და დაიღუპებოდა მთელი ქვეყანაო.

მეფე გვარამი ახლაც ახსოვთ იმ დიდ, ულა-
მაზეს ქვეყანაში — ინგოზეთში.

კარგი პია ვილი ზინკლე

ინგლისური ხალხური ლექსი

ვილი ზინკლე ქაღალქს იკლებს,
 დამის ზერანგს აფრიალებს,
 კედელ-უორეს მიაუერებს,
 ხარის თვალებს აბრიალებს
 და იძახის ნაწუვეტ-ნაწუვეტ:
 აბა, დაწუვეტ,
 აბა, დაწუვეტ,
 არ გაბედოთ მასლანათი,
 მიღის დროა, ცხრა სხათი.

თარგმნა ნუნუ ჯარბაქაძემ
 ნახატი ვაჟა ლათიაშვილიან



შოთა აშირანაშვილი

გამოცანა

სიხარულით მოდის ჩემთან
 კლასში გამრჯე ვინც არი,
 აჭრელდება ხოლმე ცარციით
 ჩემი გულის ფიცარი,
 ან ვკიდივარ, ანდა ვდგავარ,
 აბა, გამომიცანი!

უკრალა

თაგეების დიდი მტერია,
 უეჭვნოდ დადის ჯერაც.
 თუ გამოიცან, გეთაყვა,
 შეკვეცე წინა ბგერა.
 მესამე მუსიკალური
 ბგერა დაურთე ბოლოს,
 შარადის პასუხს, პატარავ,
 ასე მიიღებ მხოლოდ.

მიტო და ლურჯწინსაფრიანი კაცი

პლაენიკა ასლაგაზივილი

ნახატი ზურაბ კაპანაძისა

ყოვედღე, დიდი მესრის იქიდან, ხან ჩაქურის
კაკუნი მოისმოდა, ხან სახერხი მანქანის ხრიალი.

— ნეტავ რას აკეთებენ?—იტყოდა პატარა
მიტო და გაფაციცებით ყურს მიუგდებდა.

— კაკ-კუკ კაკ-კუკ, ხრ-ხრ, ხრ-ხრ,—არ წყე-
ბოდა ხმა.

მიტომ ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა.
ერთ დღეს მესრის მორყეული ფიცარი გვერდით
გასწია, შიგ გაძვრა და, აი, რა დაინახა: ვეე-
ბერთედა ეზოში ხელსნები ტრიალებდნენ:—ზო-
გი ფიცარს ხერხავდა, ზოგი რანდავდა, ზოგიც
ყუთს აკეთებდა.

მიტო ერთ ლურჯწინსაფრიან კაცთან მივიდა.
ამ კაცს ჩაქური მოემარჯვებინა და ფიცარს ფი-
ცარზე აჭედებდა.

— ძია, რას აკეთებ?—იკითხა ცნობისმოყვა-
რე ბიჭმა.

— ყუთს!—თქვა ლურჯწინსაფრიანმა კაცმა
და თვალთ სართულებდა დაწყობილ ყუთებზე
ანიშნა.

— აუჰ, რამენია!—გაუკვირდა ბიჭს და ისევ
ჰკითხა: ძია, რად გინდათ ამდენი ყუთები?

ხელსანმა ღურსმანს ჩაქური დასცხრა და მი-
ტოს შეხედა.

— ატამი გიყვარს?

ახლა რა დროს ატამიაო,—უნდა ეთქვა ბიჭს,
მაგრამ გაოცებულმა მარტო თავი დაუქინა,
ღიანო?

— ყურძენიც ზომ გიყვარს?

მაგას რაღა კითხვა უნდაო,—ისევ თავი დაუ-
კანტურა ბიჭმა.

— აღბათ მანდარინსა და ღოყაწითელ ვაშ-
ლებზეც არ იტყოდი უარს!—გაციონა იმ კაცმა.

— მანდარინიც და ვაშლიც მიყვარს, ძია, წაი-
ლულულა მიტომ და ცოტა არ იყოს ეწყინა.
მე რა გკითხე, ეს რას მეუბნებოა.

— ჰოდა, ჩემო ბიძია, ამ ყუთებს ხილის ჩა-
საწყობად ვამზადებთ!—თქვა კაცმა და ღურს-
მანს ჩაქური მიუმარჯვა.

მიტოს მალაზიების წინ მართლაც ბევრჯერ
უნახავს ასეთ ყუთებში გასაყობათ ჩაწყობილი
ხილი, მაგრამ ახლა, როცა დიდი ხანია ვაშლიც
მოიღია, ყურძენიც, მანდარინიც და ატამიც.
ყუთები რაღა საჭიროაო, ფიქრობდა.



ღურჯუინსაფრიანი კაცი თითქოს მიუხვდა,
რასაც ცნობისმოყვარე ბიჭი ფიქრობდა და თქვა:

— ყუთებს წინასწარ ვამზადებთ, შემოდგომას
მომზადებული უნდა შევხვდეთ.

— მეც რომ მქონდეს ფიცრები, იცი რას ვი-
ზამი?

— რას, ბიჭო?—ჰკითხა კაცმა. და თვადი
თვალში გაუყარა.

— ბუდეებს გვაგეგმებდი, გაზაფხულზე შო-

შიები მოფრინებდნენ..

— ყოჩაღ, ბიჭო! ეს რა კარგად მოიფიქრე.
სამაგისო ფიცარს ახლავე გამოგიძებნი,—თქვა
ძიამ, ერთი იღლია ფიცრის გადანაჭრები მოაგ-
როვა, თუკის ნაწყვეტით გუდურსასავით შეჰკრა
და მიტლს ზურგზე აჰკიდა.

მძიმედ დატვირთულმა, გაბარებულმა მიტლმ
შინისაკენ გასწია.

კოსმოდრომი

პარიკ ბეჰეზარი

კოსმოდრომი ვახაკეთს
გიაბ, გელაბ, თამუნაბ;
თანამგ ზაგრში მოათავსეს
ჭრელი ფისო და ქურა.
ვერ ვაფრინდნენ,—რაკეტაში
დაიბუღა ღამურამ.



მეთაური

კახამ ჯიქურ მოაგეგვა
ლურჯა—შვირცხლი ბედაური,
ისე იჯდა უნაგირზე,
როგორც ჯარის მეთაური.

ნახატები თინათინ სამსონაძისა

ხელახალი და გულგული



ადრე ადგა



შრიალეშდა



ანათეშდა

გალოშდა



შოიხიშლა



ძინს ჩამოვრინდა და



ს წინ დას



პდა



შეჩერდა



მოუეი



და უთხრა

ნაეი დამაცეტე ამ ერთი



გახანეო, გახანეშული



სავსე



საქენ გავრინდა

შთავარი რედაქტორი მახინან მამუკაშვილი

სარედაქციო კოლეგია: კუპარი გოგიაშვილი, ლილა მარამ, ჯემალ ლოლაძე, ზურაბ ლომიძე, ვახტანგ შამგულაშვილი, იოსებ მემურაძე (პ/გ მდიანი), ზალვა ცხელაძე (სამხ. რედაქტორი), ვინო ქვიციანი

საქ. აღვც ცუბა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რეზოლუციური საბჭოს ტერნალო უდაბე ნახატი თევზი ჩინიანაშვილი

ტექნოლოგიური მ. გომიშვილი

მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მო. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პ/გ მდიანის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განვუფ.—93-98-19; სამდიანის—93-98-16

გაზეთი: ასაწეობელ 31/1-78 წ., ტელმოწერილია დასაბედად 12/IV-73 წ., გალადის რომ. მოქალაქე, ლიხ. ნახ. ფურც. 25, ტრაფი 159,700. შვკ. № 335. „ძილა“ № 5. სა გრუიკონო რაჟკე. დახე 20 კაბ.

საქ. კვ ცუ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии



„მზე და ბავშვები“—ნახ. ნინო ლეხაძის, 5 წ. თბილისი.
 „ძიძგილაობა“—ნახ. ლეონიდას, 8 წ. თბილისი.
 „ავტოპორტრეტი“—ნახ. ნინო არსენიშვილის, 5 წ. თბილისი.
 „ზე“—ნახ. მაკა კვანტალიანის, 5 წ. თბილისი.
 „გასვირება“—ნახ. ანა კობახიძის, 7 წ. ქარელი.
 „მთვარეზე“—ნახ. ზვიად წაქაძის, 8 წ. ოგუძერა.
 „ტყე“—ნახ. გოგა შილაკაძის, 5 წ. თბილისი.

